ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4337739

ნომერი: AR1652282

თარიღი : 26.12.2018

გაცემის თარიღი : 15.01.2019

გაცნობის თარიღი : 16.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მესხეთის , N 71;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი მამულაშვილი პ/ნ 13001052718
- გურჯაანი ს. კარდენახი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 26 დეკემბერს № AR1652282 განცხადებით მომართა გურამი მამულაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2018

წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, მესხეთის ქუჩა N71 -ში, მოქ. მზია ნემსაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 01.17.09.043.016) ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის № 4048677 ბრძანებით შეთანხმებული, ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 03 ივლისიდან 2020 წლის 03 იანვრის ჩათვლით.

სამსახურის 2018 წლის 27 ივლისის № 4090462 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის № 4048677 ბრძანებაში და დამკვეთად მზია ნემსაძის ნაცვლად დაფიქსირდა შ.პ.ს „ბროკერი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406250462).

სამსახურის 2018 წლის 13 დეკემბრის №4304053 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდა 483.89 კვ.მ; საცხოვრებელ ფართობად 330.02 კვ.მ; საზაფხულო ფართობად 39.60 კვ.მ, მანსარდის ფართობად 112.23 კვ.მ.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ, განმარტავს, რომ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ არის დაფიქსირებული კიბის უჯრედის ფართი და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის გასწორებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ კიბის უჯრედი ფართობის დამატებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 530.81კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: კიბის უჯრედის ფართობად დაფიქსირდეს 46.92 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 530.81 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 26 დეკემბერს № AR1652282 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4023393 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.